# ადამიანის პაპილომა ვირუსი (მაღალი რისკი) გენოტიპირება - 16, 18/45
# HPV DNA - PCR
## მასალის აღების წესი

## მასალა: ცერვიკალური ნაცხი

კონტეინერი: სატრანსპორტო მედიუმი - ThinPrep® Pap, ფუნჯი.




## ნაცხის აღების წესი:

***მასალის აღებამდე ნეიტრალური ჩხირის საშუალებით საშვილოსნოს ყელის ზედაპირიდან ფრთხილად მოაცილეთ  ზედმეტი ლორწო (ეს ჩხირი გადააგდეთ).***

1. კონტეინერზე წინასწარ მოახდინეთ მარკირება;
2. მოხსენით სახურავი კონტეინერს;
3. მოათავსეთ მასალის ასაღები ფუნჯი ენდოცერვიქსში.
4. საათის ისრის მიმართულებით ფუნჯი დაატრიალეთ 5-ჯერ;
5. მოათავსეთ ფუნჯი კონტეინერში. 10-ჯერ დააჭირეთ და გაშალეთ ფუნჯი კონტეინერის ფსკერზე, ბოლოს ძლიერად დაატრიელეთ რათა ფუნჯი მასალისგან სრულიად განთავისუფლდეს;
6. არ ჩატოვოთ ფუნჯი კონტეინერში;
7. მჭიდროდ დაახურეთ კონტეინერს სახურავი;
8. მასალა გამოაგზავნეთ ლაბორატორიაში კვლევისთვის;
9. მასალა სტაბილურია 2-30 °C.

## ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს HPV DNA კვლევაზე:

- მენსტრუაცია;
- სქესობრივი კონტაქტი ნიმუშის აღებამდე 2–3 საათით ადრე;
- ანტისეპტიკური ხსნარებისა და ლუბრიკანტების გამოყენება;
- ვაგინალური სანთლების გამოყენება ბოლო 48 საათის განმავლობაში;
- ბოლო 3 თვის განმავლობაში ჩატარებული ცერვიკალური პროცედურა ან ოპერაცია;
- ბოლო 21 დღის განმავლობაში ჩატარებული რადიოთერაპია;
- აღნიშნული ფუნჯი არ გამოიყენება ორსულობის 10 კვირიდან.